სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თამარ მახარობლიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	**20**
პროფესიული ოვისებები	15	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	**10**
პროფესიული აქტივობა	5	**5**
ქულათა ჯამი	91	**100**

თარიღი : 3.12.24ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 2 დეკემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამარ მახარობლიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამარ მახარობლიძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (დოქტორი, თსუ, 2021 წელი), სპეციალობით მუშაობს 9 წელია, კერძოდ:

- 2015 წლის სექტემბრიდან - 2022 წლის ოქტომბრამდე, სამართალშემოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- 2017 წლის სექტემბრიდან - დღემდე, მოწვეული ლექტორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
- 2018 წლის თებერვლიდან - 2022 წლის ოქტომბრამდე, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი - ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;
- 2018 წლის მარტიდან - 2020 წლის მარტამდე, მოწვეული ლექტორი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- 2022 წლის აგვისტოდან - დღემდე, ასოცირებული პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
- 2023 წლის ივლისიდან - 2024 წლის ნოემბრამდე, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ის აკმაყოფილებს/სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან.

კანდიდატ თამარ მახარობლიძის შესახებ ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მის იურიდიულ საქმიანობასთან დაკავშირებით და ასევე ინტერვიუები პოლიტიკურ თემებზე.

კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი 17 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ასევე - ერთ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ თამარ მახარობლიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია: „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და სასჯელთა სახეები", პოლონურ-ქართული სამართლის მიმოხილვა, №2/2016, ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 წელი; „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში", „გურამ ნაჭყებია 75", საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", 2016 წელი; „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში", ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017 წელი; „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები", ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", №2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017 და ა.შ.

არის წიგნების თანაავტორი/ავტორი: „სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით", არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017 წელი და „არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები", გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2023 წელი.

თამარ მახარობლიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 85/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - თამარ მახარობლიძეს, გააჩნია მაღალი თეორიული და პროფესიული ცოდნა. სწრაფად და ეფექტურად შეუძლია საკითხის სიღრმისეულად შესწავლა. სამუშაოს ასრულებდა საუკეთესოდ. პრაქტიკულ თვალსაზრისით განვითარებული აქვს ყველა საჭირო უნარ-ჩვევები. არის თავდაჯერებული, კომუნიკაბელური კოლეგიური და გაწონასწორებული. შეუძლია საკითხის სწორად და ცხადად გადმოცემა, როგორც ზეპირად ასევე წერილობით. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. *ადმინისტრაციულ სამართალში* - თამარ მახარობლიძე, არის საკმაოდ გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. ასევე მიზანდასახული და საქმისადმი ერთგული. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. აქვს უნარი ადამიანები მის მიმართ განაწყოს პატივისცემით და ნდობით. არის კორექტული. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც კომუნიკაბელურმა ადამიანმა. გამოირჩევა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *სისხლის სამართალში* - თამარ მახარობლიძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. თამარ მახარობლიძე არის ზრდილობიანი, გაწონასწორებული, კომუნიკაბელური ორგანიზებული პიროვნება. რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკურ საკითხების სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში.“

თამარ მახარობლიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „არასაპატიმრო ღონისძიების სახით კონფისკაციის გამოყენება"; „სამართლებრივი წერა"; „პერსონალურ მონაცემთა დაცვა" და ა.შ.).

კანდიდატს მიღებული აქვს სასწავლო სტიპენდიები:

- DAAD სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ვიადრინას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2016 წელი;
- ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, პოლონეთი, პოზნანი - 2017 წელი;
- კარლ ებერტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ტუბინგენი - 2017 წელი;
- შვედეთის მთავრობის სასწავლო სტიპენდია, შვედეთი, ლუნდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2019 წელი.

კანდიდატი იყო ტრენერი თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებულ ტრენერთა ტრენინგში; ასევე, საგრანტო პროექტში - „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის" - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წელი.

თამარ მახარობლიძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი 2017 წლიდან - დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ ენას.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის პრინციპული, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ არის მედეგი.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის კორექტული კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **<u>კანდიდატი თამარ მახარობლიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მიმართულებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ასევე, საკონსტიტუციო სამართლის სიღრმისეული ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **22 ქულით**</u> **(მაქსიმალური -25);**

კანდიდატს აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის დიდი გამოცდილება და კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ მახარობლიძის მომზადებული გადაწყვეტილებების, დადგენილებისა და განჩინებების პროექტები შედგენილია საპროცესო დოკუმენტების შედგენისათვის დადგენილი სტრუქტურის გამოყენებით. მის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საკითხის სამართლებრივი შეფასება თანხვედრაშია ერთმანეთთან და ხსნის მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების და განჩინების პროექტები მომზადებული და გადმოცემულია გასაგები ენით. მას შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი. გააჩნია სამართლებრივი ლექსიკონის ადეკვატურად გამოყენების უნარი. შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. თამარ მახარობლიძეს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით.

აღნიშნული გარემოებების (სარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური, აქვს კარგი მენეჯერული თვისებები, რაც ხელს უწყობს დროის სწორად გადანაწილებას და მოქმედებს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის

მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული ოვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი მუდამ ორიენტირებულია პროფესიული უნარების გაღრმავებაზე, მუდმივად ეცნობა სიახლეებს, მოპოვებული აქვს სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, იგი სხვადასხვა უნივერსიტეტში წლების განმავლობაში ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **8 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ეწევა პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას, მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში და გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, სხვადასხვა პრობლემატურ და სამართლებრივ საკითხზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **5 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 91 ქულას.

ლევანი თევზაძე